შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/17

თბილისი **“ 13 “ მარტი 2020 წ.**

დისტანციური სწავლების მეთოდზე გადასვლის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 მარტის № 501 განკარგულების და შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტში ქვეყანაში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პრევენციული ღონისძიებების განხორციელების შესახებ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 მარტის № 501 განკარგულების თანახმად, მიმდინარე წლის 1 აპრილამდე შეჩერდა სასწავლო (კონტაქტური) პროცესი;

2. შპს გთუნი 2020 წლის 16 მარტიდან გადადის დისტანციური სწავლების მეთოდზე. სწავლების ფორმატი- სინქრონული, (რეალურ დროში, „ლაივში“ წარმართული ლექცია) და ასინქრონული (სასწავლო მასალების და ვიდეო ლექციების ონლაინ სასწავლო პლატფორმაზე განთავსება და სტუდენტისათვის ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომობა);

3. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

- ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი